ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №4-2014

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია

ქ. რუსთავი 15 იანვარი 2014 წ

1.ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ *შ.პ.ს. „ქ. რუსთავის კანისა და ვენსნეულებათა დისპანსერი", (ს/კ 216297095) მისი დირექტორის გ. ტაბატაძის სახით* (შემდგომში „შემსყიდველი")
და მეორე მხრივ *შპს „ჰუმან დიაგნოსტიკ ჯორჯია" (ს/კ202161640) მისი დირექტორის ზურაბ ბრელიძის სახით* (შემდგომში „მიმწოდებელი")
ვმოქმედებთ რა ჩვენი საწარმოების წესდებებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე

2.ხელშეკრულების საგანი

შემსყიდველი" საკუთარი შემოსავლების ფარგლებში შეკვეთის შესაბამისად შეისყიდის *ფარმაცევტულ პროდუქციას* (CPV კოდი 33600000) *კერძოდ ლაბორატორიული დიაგნოსტიკური ტესტ-სისტემებს* გამარტივებული შესყიდვით ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით, ხოლო „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას მიაწოდოს ზემოთაღნიშნული საქონელი „შემსყიდველს"

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1. მისაწოდებელი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს **1500.00 (ერთი ათას ხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარს** კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.
3.2. მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა და დასახელება განისაზღვრება შეკვეთის შესაბამისად.

4.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხსა და ვარგისიანობაზე
4.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდული საქონლის ღირებულება პროდუქციის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.
4.3 შეთანხმების შემთხვევაში მომწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს შეკვეთილი საქონელი შეკვეთიდან 30-45 დღის განმავლობაში.

5.მომსახურეობის მიღება-ჩაბარების წესი

საქონელი მიწოდებულად (მომსახურეობა გაწეულად) ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის (სასაქონლო ზედდებულის) გაფორმების შემდეგ.

6. მიწოდებული საქონლის ხარისხი და გარანტია

6.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი არ იქნება დაზიანებული, და იქნება მოხმარებისათვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს დაზიანებული და უვარგისი საქონლის შეცვლა.

7. ანგარიშსწორება

7./1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.
7.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება ნაღდი/უნაღდო ანგარიშსწორებით.

8 ფასები

8.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი საქონლის (გასაწევი მომსახურეობის) ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.
8.2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლოვბაში დასაშვებია საცალო ფასის (გასაწევი მომსახურეობის განსაზღვრული ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო

რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილება არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

9 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულობანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა,
9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად,.

10. უფლებების გადაცემა

10.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

11. სუბ-კონტრაქტორები

11.1 იმ შემთხვევაში, თუ სუბკონტრაქტორის დადების ან სუბკონტრაქტორის შეცლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში,
მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.
11.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტორის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში
11.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნასკისრი ვალდებულებებისაგან.

12. ფორს – მაჟორი

12.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიანდაკავშირებული შემსყიდველისა და /ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით. და სხვა.
12.3 ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლის უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ , მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებლი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13 ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
13.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელის მიიღებს ასეთ გადაწვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.
13.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.
13.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე
ა) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.;
ბ) აქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
13.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურეობის ღირებულება.

14. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

14.1. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სპეციალურად შექმნილი ჯგუფი ან/და უფლებამოსილი პირი. ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, ასევე მისაწოდებელი საქონლის წარმოების, შეფუთვის, ვარგისიანობის ვადების, ჰიგიენური ნორმების და სხვა მიწოდებისათვის აუცილებელი პირობებისა და ნორმების დაცვის კონტროლს.

15. დავების გადაწყვეტის წესი

15.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარებენ, რათა პირდაპირ არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
15.2 თუ შემსიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებნ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხაეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

16. სხვა პირობები

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით..**
16.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლიარად, ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
შ.პ.ს. ქ. რუსთავის კანისა და	შპს „ჰუმან დიაგნოსტიკ ჯორჯია"
ვენ. სნეულებათა დისპანსერი	
ქ. რუსთავი. VII /რ-ნი	მის. 0102 ქ.თბილისი, ივ.ჯავახიშვილის №51
ტ 0-341-22-82-83	ტელეფონი 0322-95-02-22
ს.ს. „ვითიბი ბანკი ჯორჯია"	ბანკი სს„პროკრედიტ ბანკი"ცენტრ. ფილ-ლი
რუსთავის ფილი-ლი	ბანკის კოდი **MIBGGE22**
ა/ა **№GE77VT0700000000 913408**	ა/ა **№GE37PC0133600100046123**
ს/კ 216297095	ს/კ 202161640
დირექტორი /ბორის ტაბატაძე/	დირექტორი /ზურაბ ბრეგლიძე/
ბ.ა.	ბ.ა.